

დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანა მრუდწირული ოთხკუთხა ხვრელის მქონე მართკუთხა არასათვის

გიორგი კაპანაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,
kapanadze.49@mail.ru

ნაშრომში განხილულია დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანა მართკუთხა არისათვის მრუდწირული ოთხკუთხა ხვრელით, რომელიც შედგება აბსცისთა ღერძის პარალელური სწორხაზოვანი მონაკვეთებითა და ერთი და იგივე წრეწირის რკალებისაგან. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია კონფორმულ ასახვათა და ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანების მეთოდები. საძიებელი კომპლექსური პოტენციალები აგებულია ეფექტურად (ანალიზური ფორმით). მოყვანილია ამონახსნთა შეფასებები კუთხეების წვეროთა მახლობლობაში.

მაღლობა. წინამდებარე ნაშრომი შესრულებული იყო შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტი SRNSF /FR /358 /5-109 /14).